ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო

ანგარიში

2021-2022

შესავალი

ბათუმის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობა 2013 წლიდან დაიწყო, როდესაც კულტურულ-ჰუმანიტარულმა ფონდმა "სოხუმმა" თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ბათუმის საკრებულოსთან და მასთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო შექმნა.

მოგვიანებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ" ქვეპუნქტის, „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 11 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის #34 დადგენილების 26-ე პუნქტის შესაბამისად შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც 2018 წლის 27 დეკემბრის ცვლილებით იწოდება ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო.

საბჭოს სხდომები

საბჭოს სხდომები

№	სხდომის ოქმის №	ჩატარების თარიღი	მიღებული გადაწყვეტილებები	შენიშვნა
1.	№ 17	10. 02. 2021	1. მოწონებული იქნა წარდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ 2019-2020 წ.წ. გაწეული საქმიანობის შესახებ; 2. შეიქმნა თემატური სამუშაო ჯგუფები საბჭოს წევრების შემადგენლობით; 3. დამტკიცებული იქნა გენდერული კვირეულის 02.03-09. 03. 2021 წ. ღონისძიებათა გეგმა;	
2.	№ 18	02. 03. .2021	1. საბჭოს ოფიციალურ გვერდზე განთავსდეს კამპანიის დაწყების შესახებ ინფორმაცია; 2. მოწონებულ იქნას გენდერული თანასწორობის საბჭოს გეგმა; 3. შეტანილი იქნა ცვლილებები გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში.	
3.	№ 19	10. 08. 2022 წ.	1. გაცნობილი იქნა დებულებას და სამოქმედო გეგმას ახალი შემადგენლობა;	
4.	№ 20	19.10.2022წ.	1. დამტკიცებული იქნა კამპანიის: „ვარდისფერი ოქტომბერი“ - ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა; 2. მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში საბჭოს წევრების მიერ გენდერულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ჩართვა.	
5.	№ 21	25.11.2022წ.	1. მოწონებული იქნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტში გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები; 2. დამტკიცებული იქნა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის 25.11.-10.12- 2022 წ. ღონისძიებათა გეგმა;	

გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება

საბჭოს დებულების, შემადგენლობის, სხდომების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში წარმოება/გამოყენება



გადაწყვეტილებები ცვლილებების შესახებ

ა(ა)იპ "საჭადრაკო კლუბი ნონა"-ს მიეცა რეკომენდაცია საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი "ბათუმის მერიის თასი”-ს დებულებაში შეტანილი იყოს ცვლილება, რათა მამაკაცებისა და ქალების საპრიზო ტარიფი იყოს თანაბარი, რათა არ იყოს სხვაობა უმაღლესი ჯილდოების დაუფლების კუთხით და აღნიშნული ჯილდოების მოპოვება შეეძლოთ, როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს.

გადაწყვეტილებები ცვლილებების შესახებ

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა რეკომენდაცია ჟესტური ენების მნიშვნელობაზე, თარჯიმნების რაოდენობის ზრდის საჭიროებაზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ჟესტური ენის სპეციალისტის მომსახურების შესყიდვა.

სფეროში მოქმედ სამოქალაქო, საერთაშორისო, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2022 წლის 19 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

2022 წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა 7 სამუშაო შეხვედრა; აგრეთვე, მიიღო მონაწილეობა 58 ფორუმსა და კონფერენციაში, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და განხილვის საკითხები;

ქალთა პოლიტიკური გაძლიერება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

ინკლუზიური საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ქალთა გაძლიერების გზით;

მეწარმე ქალთა მენტორობის პროგრამის დანერგვა; ოჯახისადმი მეგობრული პოლიტიკა სამუშაო ადგილებზე: პოლიტიკა VშI პრაქტიკა და სხვა.

გენდერული კალენდარი

1 ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს საბჭოს წევრები სარეაბილიტაციო ცენტრ ,,თანაში“;
25 სექტემბერი - საქართველოს ყრუთა კავშირის აჭარის ადგილობრივი ოფისის მიერ ორგანიზებულ ჟესტური ენების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე;
3 დეკემბერი - მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო სტუმრად ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრში;
და სხვა

საინფორმაციო პერფომანსები

მემორანდუმები, ფილმის ჩვენებები, მედიასთან თანამშრომლობა



საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები

1. მარტოხელა მშობლები და სსიპ სახელმწიო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა აჭარის რეგიონული ცენტრის ბენეფიციარები - მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება. (ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 03)

2. ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ იმ ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციარებისთვის, რომელთაც მინიჭებული აქვთ ძალადობის მსხვერპლის სტატუსი. (ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 02)

გმადლობთ ყურადღებისთვის

მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ მოგვმართოთ:

ბათუმის მუნიციპალიტეტი:

www.batumicc.ge

FB - **ბათუმის გენდერული თანასწორობის საბჭო**

T - **(0422) 27 02 13**

27 01 9 6